„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

ღია რეიტინგ ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში

“ACF CUP 2026”

ქ. ბათუმი, 31 იანვარი, 2026 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების დრო და ადგილი: 31 იანვარი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15.

1. **ჩემპიონატი ჩატარდება 4 კატეგორიაში:**
   A - ღია ტურნირი
   B - ღია ტურნირი 12 წლამდე
   C - ღია ტურნირი 10 წლამდე
   D - ღია ტურნირი 8 წლამდე

   ტურნირში მონაწილეობა შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ ყველა მოჭადრაკეს.

2. ტურნირის სათამაშო წესები:

A კატეგორია გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად. დროის კონტროლი: 3 წუთი 2 წამის დამატებით. დაითვლება ელვისებურ ჭადრაკის რეიტინგი.

B,C,D კატეგორიები გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად. დროის კონტროლი: 5 წუთი 3 წამის დამატებით.

ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3. რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ბმული:
https://forms.gle/WdvHPLCDwRQtt2Je6

საკონტაქტო მობ: 599 069497

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 31 იანვრის 19:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში, სასტარტო სიის გამოქვეყნების შემდეგ, ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

4. ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებს გადახდილი უნდა ჰქონდეთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: **სს საქართველოს ბანკი GE30BG0000000584705115**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 18 წლამდე ასაკის პირებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა –
https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A
ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები (პასპორტის, პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი, წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი).

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 19 წლის და უფროსი ასაკის პირებმა უნდა გააგზავნონ წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი ელ-ფოსტაზე
n.alavidze64@gmail.com

5. **სატურნირო შესატანი:** 15 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი''

ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

6. ტურნირის განრიგი

ტურნირის გახსნა: 31 იანვარი, 13:00 სთ.

I ტური დაიწყება 13:30 საათზე, ყოველი მომდევნო კი თითოეული ტურის დასრულების შემდეგ.

ტურნირის დახურვა: 17:00 სთ.

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);

2. ბუჰგოლცი;

3. ურთიერთშორის შეხვედრა;

4. მოგებების რაოდენობა;

5. პროგრესი (რეგრესით).

წრიული სისტემის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

8. პრიზები

- **A კატეგორიაში გამარჯვებული სამეული და ქალთა ნომინაციაში გამოვლენილი საუკეთესო მოჭადრაკე დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით:**
- I ადგილი - 150 ლ.
- II ადგილი - 130 ლ.
- III ადგილი - 100 ლ.
- I ადგილი ქალთა ნომინაციაში - 130 ლ.
- კატეგორიის გამარჯვებული ასევე დაჯილდოვდება თასით;
- ორი პრიზის აღების შემთხვევაში, მონაწილეს გადაეცემა უმაღლესი ადგილის ჯილდო.
- **B,C,D კატეგორიებში გამარჯვებული სამეული და გოგონათა ნომინაციაში გამოვლენილი საუკეთესო მოჭადრაკე დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფასიანი საჩუქრით.**
- კატეგორიის გამარჯვებული ასევე დაჯილდოვდება თასით;
- პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები

ტურზე დაგვიანების შემთხვევაში, მონაწილეს ჩაეტვლება წაგება საათზე დროის ამოწურვის შემდეგ.

10. მონაწილეთა მიღება

მონაწილეთა ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი ალექსი ტერ-კარაპეტიანი